

შპს „ივერიაფარმა“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		(ლარი)	
	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	43 273	28 755
საეაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	7 839	32 744
სხვა ფინანსური აქტივები	7	0	23 915
მარაგები	8	210 604	424 571
სულ მოკლევადიანი აქტივები		261 717	509 985
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	2 163 026	2 230 762
არამატერიალური აქტივები	10	6 444	6 444
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 169 470	2 237 206
სულ აქტივები		2 431 187	2 747 191
კაპიტალი და ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საეაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	492 677	641 652
საგადასახადო ვალდებულებები		5 445	1 753
გადასახდელი პროცენტი		27 967	12 476
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		526 089	655 881
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხი	12	774 915	602 778
გრძელვადიანი ვალდებულებები		774 915	602 778
სულ ვალდებულებები		1 301 004	1 258 659
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	622 412	622 412
გაუნაწილებელი მოგება		507 771	866 120
სულ კაპიტალი		1 130 183	1 488 532
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2 431 187	2 747 191

სრული შემოსავლების ანგარიშგება და მოგება ზარალის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით		(ლარი)	
	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ამონაგები	14	394 559	22 364
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	15	(295 649)	(5 180)
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი	16	(438 928)	(541 643)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება/ზარალი		<u>(340 017,97)</u>	<u>(524 459,57)</u>
სხვა სრული შემოსავალი/ხარჯი			
საკუროსო სახვაობა		6 978	(22 745)
საპროცენტო შემოსავალი		3 065	2 615
პროცენტის ხარჯი		(27 687)	(18 299)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	17	(687)	(14 335)
სხვა სრული შემოსავალი/ხარჯი		<u>(18 331)</u>	<u>(52 764)</u>
მოგების გადასახადი		-	-
მოგება/ზარალი პერიოდის ბოლოს		<u>(358 349)</u>	<u>(577 224)</u>

დირექტორი გურამ კაპანაძე

მთ ბუღალტერი მაია წიკლაური

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ივერიაფარმა“ (სნ249264996) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2000 წლის 7 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, დ. წყნეთი, ზონა "ბ" კოტეჯი №7. ფაქტობრივი მისამართია: თბილისი: შალვა გოგიძის 6 ა

2024 წლის განმავლობაში შპს „ივერიაფარმა“ მფლობელებს წარმოადგენდნენ ალექსანდრე ლევდანსკი ლიაშევსკი (ესპანეთი) 25%. არჩილ მჭედლიძე 25%. ვახტანგ მჭედლიძე 25%. დიმიტრი მჭედლიძე 25%.

კომპანიის დირექტორია გურამ კაპანაძე.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ფარმაცევტული პროდუქციისა და ფარმაცევტული პროდუქციისათვის საჭირო ნედლეულის წარმოება.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია სამუშაო ვალუტაში – ლარში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია საქართველოში. 2024 წელს კომპანიას შემოსავალის უმრავლესობა შედგებოდა უცხოეთში რეგისტრირებული HARTINGTON BUSINESS S.L. MATARO BARCELONA კომპანიისაგან.

ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული საადრიცხო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა

ფული და უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება.

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. არაფულადი მუხლები არ გადაფასდება.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შემენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად,

როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგები ჩამოიწერება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

მიწა.....ცვეთა არ ერიცხება

ლაბორატორიული დანადგარები და აღჭურვილობა..... 10-20

შენობა-ნაგებობები.....50

ავტოტრანსპორტი.....5-10

ოფისის დანადგარები, აღჭურვილობა და ავეჯი.....5-20

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასა და სავაჭრო ნიშნისაგან. ვინაიდან არამატერიალურ აქტივებს აქვთ განუსაზღვრელი მომსახურების ვადა ცვეთა არ ერიცხება.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან (შენიშვნა 17). მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდების სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, გადახდის ფაქტიური თარიღისა ან პერიოდისგან დამოუკიდებლად. ცალკეულ შემთხვევებში, დაშვებულია გამოქვითვები მოგების გადასახადზე დარიცხვებიდან, რომლებიც აღირიცხება შესაბამის განაწილებაზე მოგების გადასახადზე ხარჯების შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებების გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის არ წარმოიქმნება რაიმე გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადი, რომელიც ექვემდებარება გადახდას კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებით, აღიარებულია კაპიტალში ცვლილებების ანგარიშში გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს გარკვეული ოპერაციების, რომლებიც განიხილება დივიდენდების ფარულ განაწილებად (მაგალითად, ოპერაციები არასაბაზრო ფასით, ხარჯები ან საქონლის და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან) მოგების გადასახადით დაბეგვრას. მსგავსი ოპერაციების დაბეგვრა ექვემდებარება აღრიცხვას საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების ანალოგიურად და წარმოდგენილია „სხვა გადასახადების“ სახით „სხვა საოპერაციო ხარჯების“ შემადგენლობაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

საწესდებო კაპიტალი.

საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. გასაზრდელად.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

წინა პერიოდის შეცდომები არის ერთი ან მეტი წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებულ უზუსტობას ან ინფორმაციის გამოტოვება, რაც გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ვერ გამოიყენეს, ან არასწორად გამოიყენეს საიმედო ინფორმაცია.

წინა პერიოდის შესცდომების შესწორება ხდება რეტროსპექტულად

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფული ბანკში	34 469	16 745
ფული სალაროში	8 804	12 009
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	43 272,98	28 754,64

6. სავაჭრო და და მოთხოვნები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4 169	28 654
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	3 671	4 090
სავაჭრო და და მოთხოვნები	7 839	32 744

7. სხვა ფინანსური აქტივები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ		23 763
სხვა ფინანსური აქტივები		153
სხვა ფინანსური აქტივები		23 915

8. მარაგები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
საქონელი	13 065	13 803
ნედლეულული და მასალები	148 870	137 695
მზა პროდუქცია	30 271	158 531
დაუმთავრებელი წარმოება	11 496	107 443
სხვა მარაგები	6 903	7 099
მარაგები	210 604	424 571

9. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მიწა	შენობა ნაგებობები	დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები
2023 წლის 31 დეკემბერი	521 944	1 158 040	779 071	44 237	190 194
შემოსვლა		462	1 571		453
გასვლა					
2024 წლის 31 დეკემბერი	521 944	1 158 502	780 642	44 237	190 646
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
2023 წლის 31 დეკემბერი	0	123 494	283 965	9 512	45 753
მიმდინარე წლის წვეთა		23 019	34 772	3 286	9 145
გასული აქტივების					
დაგროვილი ცვეთა					
2024 წლის 31 დეკემბერი	0	146 512	318 737	12 798	54 897
საბალანსო ღირებულება					
2023 წლის 31 დეკემბერი	521 944	1 034 546	495 106	34 725	144 441
2024 წლის 31 დეკემბერი	521 944	1 011 989	461 904	31 439	135 749

10. არამატერიალური აქტივები

თვითღირებულება	სხვა არამატერიალური აქტივები
2023 წლის 31 დეკემბერი	6 444
შემოსვლა	
გასვლა	
2024 წლის 31 დეკემბერი	6 444
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	
2023 წლის 31 დეკემბერი	
მიმდინარე წლის წვეთა	
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	
2024 წლის 31 დეკემბერი	0

საბალანსო ღურებულება

2023 წლის 31 დეკემბერი

6 444

2024 წლის 31 დეკემბერი

6 444

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	28 188	36 145
მიღებული ავანსები	464 282	605 507
სხვა ვალდებულებები	207	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	492 677	641 652

12 სესხი

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
	774 915	602 778
სულ სესხი	774 915	602 778

სესხი აღებულია პარტნიორი არარეზიდენტი კომპანიისაგან, მისი მიღება ხდებოდა ტრანშეებად, სესხი აღებულია უცხოურ ვალუტაში (ევრო) და ფინანსურ ანგარიშგებაში გადააგარიშებულია სამუშაო ვალუტაში (ლარში) ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით. სესხზე პროცენტის დარიცხვა ხდება წელიწადში ორჯერ.

13. საწესდებო კაპიტალი

2023 და 2024 წლის განმავლობაში საწესდებო
კაპიტალში ცვლილება არ
განხორციელებულა და წარმოადგენს 622412
ლარს

14. ამონაგები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი რეალიზაციიდან	394 558,74	22 363,62
სულ ამონაგები	394 558,74	22 363,62

15. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(295 649,04)	(5 180,21)
სულგაყიდული საქონელი და თვითღირებულებე	(295 649,04)	(5 180,21)

16. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი

	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
შრომის ანაზრაულება	(234 333,51)	(239 624,78)
ცვეთა და ამორტიზაცია	(70 221,36)	(68 617,77)
წარმოების ხარჯი	(43 986,32)	(153 854,01)
კომუნალური ხარჯი	(10 993,56)	(26 602,19)
გადასახადი	(17 288,50)	(17 862,50)
იჯარა	(10 504,90)	(9 407,41)
ტრანსპორტის ხარჯი	(10 318,36)	(9 341,89)
ოფისის ხარჯი	(5 204,06)	(6 314,90)
სხვა საერთო ხარჯი	(36 077,10)	(10 017,53)
სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი	(438 927,67)	(541 642,98)

17. მოგების გადასახადი

საგადასახადო კოდექსში (შენიშვნა 4) შეტანილი ცვლილებების ძალაში შესვლის შესაბამისად, კომპანიამ, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, განახორციელა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების სრული სტორნირება ბასს (IAS) 12 „მოგების გადასახადის“ მოთხოვნის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც გადავადებული გადასახადი განისაზღვრება 0%-იანი დაბეგვრის განაკვეთით გაუნაწილებელი მოგებიდან და ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან. 2024 წელს კომპანიამ აღიარა განაწილებულ მოგებაზე (დივიდენდებზე) მოგების გადასახადი ნული ლარის ოდენობით, ვინაიდან 2024 წელს დივიდენდები არ ყოფილა გამოცხადებული ასევე 2023 წელს ნული ლარი

17. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(686,84)	(14 334,63)
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	<u>(686,84)</u>	<u>(14 334,63)</u>

18. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

საწარმოს მიერ კომპანიის ხელმძღვანელ პირზე გაცემული თანხა დაკლასიფიცირებულია სესხად რომელიც 2023 წლის 31 დეკემბერი მდგომარეობით შეადგენდა 23762,86 ლარს. არნიშნული თანხა დაფარულია 2024 წლის საანგარიშგებო წელს.

დირექტორი გურამ კაპანაძე



მთ ბუღალტერი მაია წიკლაური

